ეკატერინე შენგელია*
ირაკლი ლეონიძე**

ელექტრონული სანოტარო რეესტრი და მონაცემთა უსაფრთხოება

2024 წლის პირველი მარტიდან „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა მონაცემთა ბაზების მართვისა და უსაფრთხოების განახლებულმა წესებმა. საკანონმდებლო და ინსტიტუციურმა სიახლეებმა გამოკვეთა ელექტრონული სანოტარო რეესტრის ფუნქციონირების შესწავლის საჭიროება, რათა გაირკვეს, რა ვალდებულება ეკისრება ნოტარიუსს მონაცემთა დამუშავებისას და რა შედეგს იწვევს, ნოტარიუსისთვის მონაცემთა უსაფრთხოების წესების დარღვევა.

საკვანძო სიტყვები: *პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, ელექტრონული სანოტარო რეესტრი, საქართველოს ნოტარიუსთა პალატა, ნოტარიუსი, მონაცემთა უსაფრთხოება.*

1. შესავალი

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ახალმა კანონმა საქართველოში მონაცემთა დაცვის მნიშვნელოვანი, ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ძირითად რეგულაციასთან შესაბამისი სამართლებრივი სისტემა დაამკვიდრა, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, მათ შორის, პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებების დაცვას.[1]

საქართველოს ნოტარიუსთა პალატა, როგორც საჯარო სამართლის პირი, რომელიც თვითმმართველობის პრინციპით აგებული ნოტარიუსების გაერთიანებაა და ემყარება ნოტარიუსთა სავალდებულო წევრობას,[2] კანონის სიახლეების წინა ხაზზე აღმოჩნდა. გამომდინარე იქედან, რომ ელექტრონული სანოტარო რეესტრი ნოტარიუსთა პალატასა და ნოტარიუსებს პერსონალური მონაცემების კონკრეტული

---

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი, სანოტარო სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს ნოტარიუსი.

** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობების, ანალიტიკისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მკვლევარ-ანალიტიკოსი.

[1] საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 14/06/2023, პირველი მუხლი. ასევე, იხ. *ბერნსდორფი ნ.,* ევროპის კავშირის „მონაცემთა დაცვის სამართალი“, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის ჟურნალი, №2, 2023, 14-15.

[2] საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ“, 04/12/2009, მე-4 მუხლი.

მიზნით დამუშავების შესაძლებლობას ანიჭებს, იგი სანოტარო მომსახურების განუყოფელ ნაწილად მიიჩნევა და უნდა აკმაყოფილებდეს მონაცემთა უსაფრთხოების მოთხოვნებს.

კვლევის მიზანია, შეფასდეს პირობები, რომელთა საფუძველზეც ელექტრონულ სანოტარო რეესტრში მუშავდება ფიზიკურ პირთა პერსონალური მონაცემები, დადგინდეს მისი შესაბამისობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნებთან და განხილულ იქნეს ევროკავშირის ნოტარიუსთა საბჭოს წევრი ქვეყნების სანოტარო რეესტრების წარმოების სიახლეები.

2. ელექტრონული სანოტარო რეესტრის ტიპები

ნოტარიუსი ვალდებულია აწარმოოს სანოტარო რეესტრი, რომელშიც რეგისტრირდება შესრულებული სანოტარო მოქმედებები.[3] რეესტრი სანოტარო მოქმედების მიმღებ მოქალაქეთა პერსონალური მონაცემების ბაზაა და აერთიანებს ღია და დახურული ტიპის შიდა სისტემებს.[4] ნოტარიუსი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, მოქალაქეთა პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს მონაცემთა დამუშავების პრინციპების და საფუძვლების დაცვით, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს და არასრულწლოვნის პერსონალურ მონაცემებს.

ღია ტიპის შიდა სისტემის ფუნქცია ნოტარიუსებს სანოტარო მოქმედებებთან დაკავშირებული სუბიექტების მონაცემებზე წვდომის შესაძლებლობას ანიჭებს. მასში რეგისტრირებულ სანოტარო მოქმედებებთან წვდომა აქვს ყველა ნოტარიუსს, მიუხედავად იმისა, თუ ვინ განახორციელა მოქმედება რეესტრში, ეს არის:

- სამემკვიდრეო საქმეთა რეესტრი;
- ანდერძების რეესტრი;
- სააღსრულებო ფურცლის შესახებ ინფორმაცია საერთო რეესტრიდან.

სამემკვიდრეო საქმეთა რეესტრის ღიაობა იმითაა განპირობებული, რომ სამკვიდროზე ორი სხვადასხვა ნოტარიუსის მიერ არ გაიცეს მსგავსი შინაარსის სამკვიდრო მოწმობები. ნოტარიუსმა არ გახსნას სამკვიდრო კანონისმიერ მემკვიდრეებზე, თუ სხვა ნოტარიუსთან უკვე ინახება მამკვიდრებლის ანდერძი. ასევე, უძრავ ქონებაზე არ გაიცეს იდენტური შინაარსის რამდენიმე სააღსრულებო ფურცელი და ა.შ.

დახურული ტიპის შიდა სისტემაში რეგისტრირებულ სანოტარო მოქმედებებთან წვდომა გააჩნია მხოლოდ იმ ნოტარიუსს, რომელმაც განახორციელა მოქმედება რეესტრში, ეს არის:

- საერთო რეესტრი, სადაც რეგისტრირდება ყველა სანოტარო მოქმედება, გარდა უკვე აღნიშნული მოქმედებებისა;
- თამასუქებისა და ჩეკების გაპროტესტების რეესტრი;
- ფულისა და ფასიანი ქაღალდების რეესტრი;
- დადგენილებათა რეესტრი.

განხილვის საგანია, თუ რა ფორმით უნდა იყოს ხელმისაწვდომი ღია ტიპის შიდა სისტემაში დაცული მონაცემები სხვა ნოტარიუსებისთვის, მათ შორის, სანოტარო

[3] შეად. European Commission for the Efficiency of Justice, Working Group on the Evaluation of Judicial Systems, Specific Study of the CEPEJ on the Legal Professions: Notaries – 2018, Notaries of Europe (CNUE), 7.

[4] საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე", 31/03/2010, 33-ე მუხლი.

საქმიანობის ფარგლებს გარეთ, საჯარო დაწესებულებებისთვის: მაგალითად, საჯარო რეესტრისთვის. ერთი მხრივ, ნოტარიუსს ეკისრება პროფესიული საიდუმლოების დაცვის ვალდებულება, თუმცა, მეორე მხრივ, მის მიერ განხორციელებული მოქმედებების (შედეგების) ნაწილი ხელმისაწვდომია კოლეგა ნოტარიუსებისთვის და რეესტრთან კავშირში მყოფი სხვა პირებისთვის. მაგალითად, ნოტარიუსს, სხვა პირს, რომელმაც დაადასტურა ანდერძი, მოწმეს, ასევე პირებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს ანდერძს მოანდერძის ნაცვლად, უფლება არა აქვთ სამკვიდროს გახსნამდე გაამხილონ ცნობები, რომლებიც შეეხება ანდერძის შინაარსს, მის შედგენას, შეცვლას ან გაუქმებას,[5] თუმცა ამ ცნობების/პერსონალური მონაცემების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში აღრიცხვა, შეიძლება ანდერძის შედგენის ფაქტის და შინაარსის გამჟღავნებას და მისი გაცნობის საშუალებას წარმოადგენდეს სხვა პირებისთვის.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლი ადგენს მონაცემთა უსაფრთხოების მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები პირობითი ხასიათისაა და მისი დაცვის მნიშვნელობას გამოხატავს, თუმცა სანოტარო საქმიანობის განხორციელებისას ამ პირობების დაცვა და დაუცველობის სამართლებრივი შედეგები გარკვეული თავისებურებით ხასიათდება. ზოგადად, თემის ირგვლივ შეიძლება გამოიყოს მონაცემთა უსაფრთხოების განახლებული მოწესრიგება, მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევაზე რეაგირების წესი და მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნის ვალდებულება.[6]

ახალი კანონის თანახმად, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი ვალდებული არიან უზრუნველყონ ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების (მათ შორის, ინციდენტების შესახებ, მონაცემთა შეგროვების, შეცვლის, მათზე წვდომის, მათი გამჟღავნების (გადაცემის), დაკავშირებისა და წაშლის თაობაზე ინფორმაციის) აღრიცხვა. არაელექტრონული ფორმით არსებულ მონაცემთა დამუშავებისას დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი ვალდებული არიან უზრუნველყონ მონაცემთა გამჟღავნებასთან ან/და ცვლილებასთან დაკავშირებული ყველა მოქმედების (მათ შორის, ინციდენტების შესახებ ინფორმაციის) აღრიცხვა.[7] სანოტარო რეესტრთან მიმართებით ეს მოთხოვნა შეიძლება გავიგოთ, როგორც ზოგადად, რეესტრის სისტემური გამართულობისთვის პასუხისმგებლობის ნაწილში, ასევე, კონკრეტულად, სანოტარო მოქმედების განხორციელებისას.[8]

სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების განსახორციელებლად სავალდებულოა მიეთითოს სხვადასხვა მონაცემი:

- სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი და ნომერი;

---

[5] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 26/06/1997, 1363-ე მუხლი.

[6] მონაცემთა ბაზების განვითარებასთან დაკავშირებით იხ.: პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საქმიანობის 2022 წლის ანგარიში, 96; პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში, 52-53.

[7] საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 14/06/2023, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტი. ასევე, შეად. *ვუდარსკი ა., სირდაძე ლ.,* რეესტრის ჯუნგლები 21-ე საუკუნეში, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, №6, 2020, 22.

[8] იხ. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის სახელმძღვანელო რეკომენდაციები საჯარო დაწესებულებებისთვის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან თავსებადობის მიზნით შიდაუწყებრივი სამართლებრივი აქტების გამოცემის/განახლების თაობაზე, 2023, 1-2.

- სანოტარო მოქმედების მონაწილის სახელი, გვარი, საცხოვრებელი ადგილი, პირადი ნომერი. არასრულწლოვანი ფიზიკური პირის შემთხვევაში, რომელსაც არ გააჩნია პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი: სახელი, გვარი, დაბადების თარიღი. იურიდიული პირის შემთხვევაში: სახელწოდება, იურიდიული მისამართი, ხოლო რეზიდენტი იურიდიული პირის შემთხვევაში საიდენტიფიკაციო კოდი. სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის შემთხვევაში: სახელწოდება და ადგილსამყოფელი.
- სანოტარო მოქმედების შინაარსი;
- სანოტარო საზღაური.

სამემკვიდრეო საქმისწარმოებისას, დამატებით მიეთითება მამკვიდრებლის ვინაობა, გარდაცვალების თარიღი და საიდენტიფიკაციო მონაცემი. ანდერძის გამოქვეყნების შესახებ ოქმის რეგისტრაციისას: საანდერძო განკარგულების შინაარსი, ანდერძით მემკვიდრის ან სათადარიგო მემკვიდრის იდენტიფიკაციის მონაცემი, ანდერძით დანიშნული ანდერძის აღმსრულებლის სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილი, იდენტიფიკაციის სხვა მონაცემი, იმ პირის სახელი და გვარი, იდენტიფიკაციის მონაცემი, რომელსაც ანდერძით დაევალა ანდერძის აღმსრულებლის დანიშვნა, ლეგატარის (მისი არსებობისას) მონაცემი.

როგორც ვხედავთ, სანოტარო რეესტრში მოქმედების დასარეგისტრირებლად მნიშვნელოვანია პერსონალური მონაცემების მითითება, თუმცა საჯარო და კერძო აქტების მიმართ მოქმედებს ნოტარიუსის პასუხისმგებლობის განსხვავებული სტანდარტი, შეიძლება კი მსგავსი რეგულირება გავავრცელოთ მონაცემთა დაცვის მოთხოვნათა მიმართაც? მაგალითად, ერთ მხარესაა ნოტარიუსის პროფესიული საიდუმლოების ან სანოტარო კანონმდებლობის დარღვევის სამართლებრივი შედეგი, ხოლო მეორე მხარეს მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის სამართლებრივი შედეგი.

არ არის გამორიცხული, რომ მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევა განაპირობოს სანოტარო სფეროს ფარგლებს გარეთ მონაცემთა სუბიექტების, მათი წარმომადგენლების ან სხვა ნოტარიუსებისა და საჯარო დაწესებულების თანამშრომელთა მოქმედებამ ან მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევა აღიქმებოდეს ნოტარიუსის პროფესიული პასუხისმგებლობის ნაწილად. მაგალითად, სხვა საჯარო დაწესებულებაში სანოტარო აქტის რეკვიზიტების გასაჯაროებით საფრთხე ექმნება მონაცემთა უსაფრთხოებას. ამ შემთხვევაში ნოტარიუსი ხელმძღვანელობს სანოტარო კანონმდებლობით, შესაბამისად, მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის საკითხები უკავშირდება ნოტარიუსის საქმიანობას, უფრო კონკრეტულად, საჯარო და კერძო აქტების ფორმებს,[9] აქ კი, მნიშვნელოვანია, ერთიანი სტანდარტის დამკვიდრება მონაცემთა უსაფრთხოების მიზნებისთვის.

იქნება ეს საჯარო თუ კერძო აქტი ნოტარიუსმა საერთო წესის დაცვით უნდა განახორციელოს მოქმედებები მონაცემთა უსაფრთხოებისთვის, მაგრამ თუ მას სანოტარო რეესტრი საჯარო და კერძო აქტებთან დაკავშირებით საერთო სტანდარტის დამკვიდრების საშუალებას არ აძლევს, როგორ უნდა იმოქმედოს ამ შემთხვევაში?

ნოტარიუსს არ ეკისრება პასუხისმგებლობა კერძო აქტის კანონმდებლობასთან შეუსაბამობის ან კერძო აქტში ხელმომწერის ნების არაადეკვატურად ასახვის გამო.[10]

[9] საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, 31/03/2010, მე-15 მუხლი.
[10] იქვე.

ნოტარიუსი (შემცვლელი პირი) ჩაიდენს მძიმე დისციპლინურ გადაცდომას, თუ დაარღვევს პროფესიული საიდუმლოების დაცვის ვალდებულებას, გარდა დისციპლინური დებულების მე-7 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა,[11] რომელიც მიუთითებს, რომ განსაკუთრებით მძიმე დისციპლინურ გადაცდომად ითვლება პროფესიული საიდუმლოების დაცვის ვალდებულების დარღვევა, რასაც მძიმე შედეგი მოჰყვა. შესაბამისად, ნოტარიუსის მიერ მონაცემთა უსაფრთხოების წესის დარღვევა შეიძლება არ იწვევდეს მისთვის პროფესიული პასუხისმგებლობის დაკისრებას, რაც ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ.

აღსანიშნავია, რომ საჯარო დაწესებულებებს დაევალათ მათი საქმიანობის მარეგულირებელ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებსა და ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებში მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ტერმინების ახალ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის ამოქმედების დროისთვის.[12] 2024 წლის პირველი ივნისიდან „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი სრულად ამოქმედდა.

3. ელექტრონული სანოტარო რეესტრის წარმოება და მონაცემთა უსაფრთხოება

ბათილია სანოტარო მოქმედება, რომელიც არ არის რეგისტრირებული სანოტარო რეესტრში, გარდა კანონით დადგენილი რამდენიმე საგამონაკლისო შემთხვევისა.[13] ყოველ სანოტარო მოქმედებას ენიჭება ნომერი და რეგისტრირდება დოკუმენტზე ნოტარიუსის ხელმოწერისა და ბეჭდის დასმისთანავე.[14] სანოტარო რეესტრში ჩანაწერს ასრულებს ნოტარიუსი ან მისი დავალებით სანოტარო ბიუროს თანამშრომელი, რომელსაც ნოტარიუსთან წერილობითი ხელშეკრულებით ნაკისრი აქვს სანოტარო მოქმედების საიდუმლოების დაცვის ვალდებულება. ასევე, ნოტარიუსის შემცვლელი პირი.[15]

სანოტარო რეესტრში რეგისტრაციისას ნოტარიუსის მიერ შესრულებულ სანოტარო მოქმედებას უნდა დაერთოს სანოტარო აქტის დედნის ელექტრონული ასლი.[16]

ელექტრონული სანოტარო რეესტრის ადმინისტრირებას და ტექნიკურ მეთვალყურეობას საქართველოს ნოტარიუსთა პალატა უზრუნველყოფს. პირები, რომლებიც სანოტარო რეესტრის ადმინისტრირებას და ტექნიკურ მეთვალყურეობას ახორციელებენ, საქართველოს ნოტარიუსთა პალატასთან გაფორმებული ხელშეკრულებით, მოვალენი არიან დაიცვან მონაცემთა დამუშავების პროცესში

---

[11] იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის №69-ე ბრძანება „ნოტარიუსთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე, 31/03/2010.

[12] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის სახელმძღვანელო რეკომენდაციები საჯარო დაწესებულებებისთვის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან თავსებადობის მიზნით შიდაუწყებრივი სამართლებრივი აქტების გამოცემის/განახლების თაობაზე, 2023, 2.

[13] იხ. *ხარიტონაშვილი ნ.,* კონფერენცია „გერმანული და ქართული ნოტარიატის გაციფრულება“, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, №4, 2023, 88-89.

[14] შეად. European Judicial Systems Efficiency and Quality of Justice, Specific Study of the CEPEJ, Council of Europe, №26, 2018, 220.

[15] საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ“, 04/12/2009, 24-ე მუხლი.

[16] შეად. *ხარიტონაშვილი ნ.,* ქართული ნოტარიატის გაციფრულება, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, №6, 2023, 149.

მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა და ეკისრებათ პასუხისმგებლობა სანოტარო საიდუმლოების გახმაურებისათვის.[17]

შედარებისთვის, ბელგიის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ ერთ-ერთ საქმეზე აღნიშნა, რომ ნოტარიუსის, როგორც მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ ფიზიკური პირის პერსონალური მონაცემების შეცდომით სხვა პირების ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნა და შემდგომ, შეტყობინებების უკან გამოხმობა მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევაა და არა მონაცემთა დამუშავების ტექნიკური ხარვეზი.[18]

ნოტარიუსი ან ნოტარიუსის შემცვლელი პირი სანოტარო რეესტრთან დაშვების ავტორიზაციის მოთხოვნით მიმართავს საქართველოს ნოტარიუსთა პალატას. ნოტარიუსზე ან ნოტარიუსის შემცვლელ პირზე საქართველოს ნოტარიუსთა პალატა გასცემს სანოტარო რეესტრთან დაშვების ავტორიზაციას, შეაჩერებს ან შეწყვეტს სანოტარო რეესტრთან დაშვების ავტორიზაციას მათი უფლებამოსილების შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში. პალატა უზრუნველყოფს სანოტარო რეესტრის მონაცემების უსაფრთხოებას და დაცვას, მათ შორის ნოტარიუსების (შემცვლელი პირების) და მათი დაქირავებული თანამშრომლების გადამზადებას სანოტარო რეესტრთან მუშაობის საკითხებზე და ამტკიცებს სანოტარო რეესტრის წარმოების ტექნიკურ ინსტრუქციას.[19] აღნიშნული საკანონმდებლო მოთხოვნაა, თუმცა პრაქტიკულად ეს შეიძლება სხვაგვარად გამოიხატებოდეს. საქართველოს ნოტარიუსთა პალატა და ნოტარიუსები ერთმანეთთან თანამშრომლობისას კონკრეტული შემთხვევების გათვალისწინებით შეიძლება განვიხილოთ, როგორც თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირები,[20] დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირები და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირები, იმის მიხედვით, თუ როგორ განისაზღვრება დამუშავების მიზნები და საფუძვლები აღნიშნული დაწესებულების/პირთა მიერ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ცალკე აღებული ნოტარიუსი ძირითადად, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირია, თუმცა შეიძლება შეითავსოს შედარებით, მცირე შემთხვევებში დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის სტატუსი ნოტარიუსთა პალატასთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან ურთიერთობისას. მაგალითად, ნოტარიუსსა და სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით ნოტარიუსს ენიჭება დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის, ხოლო საჯარო რეესტრს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის სტატუსი. ამ შემთხვევაში, ნოტარიუსის, როგორც პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემების დამუშავების მიზანია მხარისთვის სააგენტოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელება, ნოტარიუსი ვალდებულია დაამუშაოს მონაცემები მხოლოდ მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებით და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში. რაც შეეხება სანოტარო რეესტრს, ნოტარიუსი მას საკუთარი სახელით მართავს და რეესტრში

[17] იხ.: პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის რეკომენდაცია „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპების შესახებ“, 2024, 29; პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის რეკომენდაცია „ინციდენტთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“, 2024, 5-6.

[18] Case of the Data Protection Authority (Belgium) №52, 03/04/2024.

[19] შეად. *ასვანუა ნ.,* პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები, თბ., 2023, 39-40.

[20] შეად. *Kuner C., Bygrave L. A., Docksey C.,* The EU General Data Protection Regulation (GDPR) – a Commentary, Oxford University Press, Oxford, 2020, 25-27.

დამოუკიდებლად ამუშავებს ფიზიკურ პირთა მონაცემებს, ამიტომ სანოტარო რეესტრთან მიმართებით ნოტარიუსი დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირია.

ნოტარიუსების შემცვლელი პირები, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ნოტარიუსები და ნოტარიუსის თანაშემწეები ნოტარიუსთან შრომით ურთიერთობაში არიან, ამიტომ, ისინი არ არიან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირები, რადგან უფლებამოსილი პირი პასუხისმგებელ პირთან შრომით ურთიერთობაში არ უნდა იყოს.[21] ისინი არც დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირები არიან, არამედ, დამატებით უზრუნველყოფენ სანოტარო მოქმედების უწყვეტობას და წარმოადგენენ სანოტარო ბიუროს პერსონალს.[22] ამ შემთხვევაში, წამყვანი სტატუსი სანოტარო ბიუროში ნოტარიუსს აქვს.

შედარებისთვის, პოლონეთის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ განმარტა, რომ სანოტარო საქმიანობის განხორციელებისას ნოტარიუსი შეიძლება მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირიც იყოს, თუ მას ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ 28-ე მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულება ექნება გაფორმებული მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთან.[23]

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ახალი კანონის მიხედვით, საქართველოს ნოტარიუსთა პალატა, როგორც საჯარო დაწესებულება ვალდებულია ჰყავდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.[24] გამომდინარე იქედან, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, საჯარო დაწესებულებად მიიჩნევა ადმინისტრაციული ორგანო, სახელმწიფო ან მუნიციპალური ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირი ასეთი დაფინანსების ფარგლებში და ამავე კოდექსის ტერმინთა განმარტებაში ადმინისტრაციული ორგანო განიმარტება, როგორც ყველა სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ორგანო/დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. ე.ი. საქართველოს ნოტარიუსთა პალატა, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ამ ნორმების სიტყვასიტყვითი განმარტებით გვევლინება საჯარო დაწესებულებად და უდავოა, რომ მას უნდა ჰყავდეს მონაცემთა დაცვის ოფიცერი. რასაც ვერ ვიტყვით ინდივიდუალურად, ნოტარიუსის შესახებ, რადგან აღნიშნული ნორმების სიტყვასიტყვითი განმარტებით ნოტარიუსი არ შეიძლება ჩაითვალოს საჯარო დაწესებულებად, თუმცა ის ახორციელებს სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებას.

აღსანიშნავია, რომ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი/დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც ამუშავებს დიდი რაოდენობით მონაცემთა სუბიექტების მონაცემებს ან ახორციელებს მათი ქცევის სისტემატურ და მასშტაბურ მონიტორინგს, ვალდებული არიან დანიშნონ ან განსაზღვრონ პერსონალურ

[21] საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 14/06/2023, მე-3 მუხლის „ჟ“ პუნქტი.

[22] შეად. European Commission for the Efficiency of Justice, Study on the Functioning of Judicial Systems in the EU Member States, Specific Study on the Facts and Figures from the CEPEJ Questionnaires 2012 to 2020, Strasbourg, 2022, 899-900.

[23] Case of the Data Protection Authority (Poland) №DKN.5131.31.2021, 07.02.2023.

[24] იხ. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის სახელმძღვანელო რეკომენდაციები საჯარო დაწესებულებებისთვის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან თავსებადობის მიზნით შიდაუწყებრივი სამართლებრივი აქტების გამოცემის/განახლების თაობაზე, 2023, 14.

მონაცემთა დაცვის ოფიცერი. ოფიცრის დანიშვნა/განსაზღვრა არ ევალება პირს, რომელიც ამუშავებს საქართველოს მოსახლეობის არაუმეტეს 3 პროცენტის პერსონალურ მონაცემებს, საყოველთაო აღწერის ბოლო შედეგების მიხედვით. ზოგად სტატისტიკურ ინფორმაციას თუ გადავხედავთ ცალკე აღებული ნოტარიუსი საანგარიშო წლის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობის 3 პროცენტზე მეტი რაოდენობის პერსონალურ მონაცემებს ვერ ამუშავებს. ამიტომ, ამ პირობითაც არ ევალება ნოტარიუსს ოფიცრის დანიშვნა/განსაზღვრა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ რაოდენობრივი მაჩვენებლების ან ნორმის ცვლილების საფუძველზე ნოტარიუსს სამომავლოდ არ დაევალება ოფიცრის ნაწილის უზრუნველყოფა.

მონაცემთა უსაფრთხოების თვალსაზრისით, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია მიიღოს სათანადო ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები მონაცემთა კანონის შესაბამისად დამუშავების უზრუნველსაყოფად და შეძლოს მონაცემთა დამუშავების კანონთან შესაბამისობის დადასტურება.[25] შესაბამისად, როგორც აღინიშნა, ამჟამად, ეს არ ავალდებულებს ნოტარიუსს, რომ სანოტარო ბიუროში ჰყავდეს მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რადგან შესაძლებელია, რომ პალატის ორგანიზაციულ ფარგლებში მოხდეს ამ საკითხის საერთო ადმინისტრირება.

ე.ი. ელექტრონულ სანოტარო რეესტრთან შემხებლობაში არიან:

- საქართველოს ნოტარიუსთა პალატა;
- პალატის მიერ რეესტრის მართვისთვის ხელშეკრულებით მიღებული პირები;
- პალატის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი;
- ნოტარიუსები;
- ნოტარიუსების შემცვლელი პირები;
- შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ნოტარიუსები;
- ნოტარიუსის თანაშემწეები.

მნიშვნელოვანია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვროს მათი სტატუსი და ვალდებულებები „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის გათვალისწინებით, კერძოდ, ვინ შეიძლება მოიაზრებოდეს დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირად, დამუშავებაზე უფლებამოსილ პირად ან თანადამუშავებისთვისთვის პასუხისმგებელ პირად.[26]

შედარებისთვის, ესპანეთის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ ერთ-ერთი საქმის შესწავლისას დაადგინა, რომ ნოტარიუსმა სანოტარო მოქმედების განხორციელებისას ფიზიკურ პირს არ მიაწოდა ინფორმაცია საიდენტიფიკაციო მონაცემების დამუშავების მიზნის და მისთვის გადაცემულ მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის საშუალებების შესახებ. ნოტარიუსის განმარტებით, სანოტარო კანონმდებლობა მას არ ავალდებულებდა აღნიშნული ინფორმაციის გაცემას. საზედამხედველო ორგანომ ნოტარიუსი გააფრთხილა მონაცემთა სუბიექტისთვის ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობის შესახებ მონაცემთა უშუალოდ მისგან შეგროვების შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, ავალდებულებს თუ არა მას აღნიშნულ შეტყობინებას სანოტარო კანონმდებლობა.[27]

---

[25] საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 14/06/2023, პირველი პუნქტი.

[26] შეად. *ელიზბარაშვილი ს.,* ადამიანის უფლებების დაცვა ტექნოლოგიური განვითარების ეპოქაში: ხელოვნური ინტელექტის რეგულირების დასაწყისი, სტატიათა კრებული - ადამიანის უფლებათა დაცვა: ევროპული გამოცდილება და ეროვნული გამოწვევები, თბ., 2023, 80-81.

[27] Case of the Data Protection Authority (Spain) №PS/00044, 23/10/2020.

სანოტარო კანონმდებლობა ნოტარიუსის პროფესიულ საქმიანობას არეგულირებს, რაც შეეხება მონაცემთა უსაფრთხოების საკითხს იგი გარე რეგულირების ფორმით აისახება სანოტარო საქმიანობაზე. სწორედ ასე შემოდის ახალი ტერმინები/სტატუსები,[28] რომლებიც შეიძლება მიიღოს ნოტარიუსმა მონაცემთა დამუშავებისას.

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისა და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც მონაწილეობს მონაცემთა დამუშავებაში ან რომელსაც აქვს მონაცემებზე წვდომა, ვალდებულია არ გასცდეს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს, დაიცვას მონაცემთა საიდუმლოება და კონფიდენციალურობა, მათ შორის, სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ.[29] დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი ვალდებული არიან თანამშრომელთა უფლებამოსილებების შესაბამისად განსაზღვრონ მათი მონაცემებზე წვდომის ფარგლები და განახორციელონ ადეკვატური ღონისძიებები თანამშრომელთა მიერ მონაცემთა უკანონო დამუშავების ფაქტების თავიდან ასაცილებლად, გამოსავლენად და აღსაკვეთად, მათ შორის, უზრუნველყონ თანამშრომელთა ინფორმირება მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის საკითხების შესახებ.[30] ყურადსაღებია ტექნიკური ინსტრუქცია, რომელიც შეიძლება ავალდებულებდეს კონკრეტულ პირებს ან ანიჭებდეს მათ უფლებამოსილებას რეესტრთან მუშაობის თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ ნოტარიუსები დამოუკიდებლად ახორციელებენ სახელმწიფოებრივ საქმიანობას საკუთარ სანოტარო ბიუროებში, მათ მიერ შესრულებული მოქმედებების შესახებ მონაცემები და მოქალაქეთა პერსონალური მონაცემები თავს იყრის ელექტრონულ სანოტარო რეესტრში. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად კანონშესაბამისად დაიცავს ცალკეული ნოტარიუსი მონაცემთა დაცვის კანონმდებლობას, ეს არ იქნება საკმარისი მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის.

შედარებისთვის, მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ საქმეში, იტალიის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს მიმართა იტალიის ნოტარიუსთა პალატამ და სთხოვა შეესწავლა ელექტრონულ რეესტრში ფიზიკური პირების სასესხო ვალდებულებებთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავებისას კომერციული ბანკების და ნოტარიუსების სტატუსი, ვალდებულებები და პასუხისმგებლობა. საზედამხედველო ორგანომ დაადგინა, რომ მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევისთვის პასუხისმგებელი იყო ელექტრონული რეესტრის პროვაიდერი (მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი), რომელიც თვითნებურად ეცნობოდა და ამუშავებდა აღნიშნულ რეესტრში განთავსებულ მონაცემებს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის შეუტყობინებლად.[31]

ნოტარიუსი ვალდებულია დაიცვას სანოტარო რეესტრთან დაშვების მონაცემები.[32] ყველა, ვისაც სხვადასხვა სამართლებრივი საფუძვლით მინიჭებული

---

[28] იხ.: Convention for the Protection of Individuals with regard to Automatic Processing of Personal Data (Convention 108), 28/01/1981; General Data Protection Regulation (GDPR), 27/04/2016; Convention for the Protection of Individuals with regard to the Processing of Personal Data (Convention 108+), 18/06/2018.

[29] საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 14/06/2023, 27-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

[30] იქვე, 27-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

[31] Case of the Data Protection Authority (Italy) №9993548, 11/01/2024.

[32] შეად. *ხუბუა გ., სირდაძე ლ.,* სამართლის ტექნოლოგიები (ლიგალტექი) საქართველოში, მათი გამოყენება კერძო კომპანიებსა და საჯარო უწყებებში, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, №7, 2022, 10.

აქვს სანოტარო რეესტრთან დაშვების უფლება, ვალდებულია საიდუმლოდ შეინახოს ინფორმაცია სანოტარო მოქმედებების შესახებ.[33] ვალდებულება ძალაში რჩება მას შემდეგაც, რაც ამ პირებს შეუწყდებათ სანოტარო რეესტრთან დაშვების უფლება.[34]

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი ვალდებული არიან მიიღონ მონაცემთა დამუშავების შესაძლო და თანამდევი საფრთხეების შესაბამისი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას მონაცემთა დაკარგვისგან, უკანონო დამუშავებისგან, მათ შორის, განადგურებისგან, წაშლისგან, შეცვლისგან, გამჟღავნებისგან ან გამოყენებისგან.[35] ელექტრონული სანოტარო რეესტრის ინფორმაციული მთლიანობის შესანარჩუნებლად აუცილებელია მისი მართვისა და ფუნქციების სისტემატიზაცია.

შედარებისთვის, ბელგიის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ სხვა საქმეში აღნიშნა, რომ სანოტარო საქმიანობისას დამუშავებული პერსონალური მონაცემები, რომლებიც ინახება სანოტარო რეესტრში არ შეიძლება გადაეცეს მარეგისტრირებელ ორგანოს (სხვა საჯარო დაწესებულებას), თუ ეს მონაცემთა სუბიექტის სურვილიდან არ გამომდინარეობს.[36] წინააღმდეგ შემთხვევაში ნოტარიუსი დაარღვევს არა მხოლოდ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობას, ასევე, ეთიკურ ვალდებულებას.

მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების განსაზღვრისას დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი ვალდებული არიან გაითვალისწინონ მონაცემთა კატეგორიები, მოცულობა, მონაცემთა დამუშავების მიზანი, ფორმა, საშუალებები და მონაცემთა სუბიექტის უფლებების დარღვევის შესაძლო საფრთხეები, აგრეთვე პერიოდულად შეაფასონ მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მიღებული ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების ეფექტიანობა და, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყონ მონაცემთა უსაფრთხოების დასაცავად ადეკვატური ზომების მიღება ან/და არსებულის განახლება.[37]

შეიძლება ითქვას, რომ ელექტრონული სანოტარო რეესტრის მოქმედი სისტემა ნაკლებად ითვალისწინებს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების მიღწევებს, მათ შორის ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღებას და პროფაილინგს.[38] სისტემა, ელექტრონული ფორმის მიუხედავად, სრულფასოვნად ვერ უზრუნველყოფს სანოტარო აქტის შედგენას, პროცესში

---

[33] შეად. *პეტერფალვი ა., ესტერი დ.,* როდესაც ჩვენი მანქანები გვსწავლობენ: ევროპის კავშირის მცდელობები ხელოვნური ინტელექტის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებისა და პროფილირების რეგულირებასთან დაკავშირებით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის ჟურნალი, №1, 2023, 72-74.

[34] ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გენერალური ადვოკატის მოსაზრებით, საზედამხედველო ორგანო ვალდებულია, დაუყოვნებლივ იმოქმედოს პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების დარღვევის ფაქტის (ინციდენტის) აღმოჩენისას, საქმე "TR v Land Hessen", <https://pdps.ge/ka/content/1068/-Datanewsroom> [14.05.2024].

[35] საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ", 14/06/2023, 27-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[36] Case of the Data Protection Authority (Belgium) №48, 08/04/2021.

[37] საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ", 14/06/2023, 27-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

[38] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის რეკომენდაცია „ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული უფლებებისა და პროფაილინგის შესახებ", 2024, 4-6.

ნოტარიუსის აქტიური მონაწილეობის გარეშე. შესაბამისად, სანოტარო მომსახურების მისაღებად მოქალაქეთა მონაცემთა დამუშავების კანონიერებისა და გამართულობისთვის მნიშვნელოვანია ელექტრონულ სანოტარო რეესტრში ავტომატური დამუშავებისთვის საჭირო ფუნქციების განვითარება.

4. ევროკავშირის ნოტარიუსთა საბჭოს წევრი ქვეყნების ელექტრონული სანოტარო რეესტრების სიახლეები

ევროკავშირის ნოტარიუსთა საბჭო შედგება ევროკავშირის 22 ქვეყნის ნოტარიუსთა პალატების წარმომადგენლობისგან. 2024 წელს, საქართველოს ნოტარიუსთა პალატა ევროკავშირის ნოტარიუსთა საბჭოში დამკვირვებლის სტატუსით გაწევრიანდა. ევროკავშირის ნოტარიუსთა საბჭოს წევრ სახელმწიფოებში ერთ-ერთ ძირითად სამუშაო მიმართულებად მონაცემთა ავტომატური დამუშავების სანოტარო ბაზების სრულყოფა, მასში განახლებული საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის ინტეგრირება მიიჩნევა.[39]

იტალიაში, 2013 წლიდან დაინერგა სანოტარო აქტის ელექტრონული მოდელი, რომელიც არ საჭიროებს ბეჭდურ ანალოგს. მომხმარებელი ელექტრონული სანოტარო რეესტრის შაბლონში ავსებს პერსონალურ მონაცემებს და სისტემა აგენერირებს სანოტარო აქტის ელექტრონულ დოკუმენტს, რომელსაც ამოწმებს სისტემაში ჩართული მორიგე ნოტარიუსი, რომელსაც აირჩევს მომხმარებელი. გაწეული მომსახურება სწრაფი და სანდო მახასიათებლებით გამოირჩევა.[40]

ჩეხეთის სანოტარო რეესტრი ინტეგრირებულია სასამართლო რეესტრთან, რაც შესაძლებლობას ანიჭებს ნოტარიუსს, ჰქონდეს წვდომა მომხმარებლის განცხადების განხილვის სანოტარო და სასამართლო ეტაპებზე, თანდართულ დოკუმენტებზე. საერთო წვდომა ნოტარიუსებისთვის გარკვეული ფუნქციების დელეგირებით აიხსნება. სამემკვიდრეო წარმოების მიზნებისთვის სანოტარო და სასამართლო მოქმედებები ელექტრონულად სრულდება და მხოლოდ საბოლოო შედეგი იბეჭდება. უფლებამოსილების დელეგირებასთან ერთად, ნოტარიუსს უფლება აქვს გაეცნოს სასამართლოს მონაცემთა ბაზაში დაცულ მონაცემებს და დაამუშაოს ისინი წინასწარ განსაზღვრული საფუძვლით.[41]

ავსტრიაში, 2000 წლიდან მოქმედებს ელექტრონული სამუშაო დოკუმენტი, რომელსაც კავშირი აქვს სანოტარო რეესტრის სისტემასთან და არქივის ფუნქცია გააჩნია. ნოტარიუსს შეუძლია ნებისმიერი სანოტარო მოქმედება შეასრულოს აღნიშნულ დოკუმენტში და მას შემდეგ, როდესაც ნოტარიუსი დაასრულებს სანოტარო მოქმედებას სანოტარო აქტი ავტომატურად აისახება შესრულებული მოქმედებების ველში. სისტემა ხასიათდება ტევადი მოცულობით, დაცულობითა და გაზიარების მოქნილი ფუნქციით. იგი შესაძლებლობას აძლევს ნოტარიუსს, რომ მარტივად მართოს მიმდინარე და დაარქივებული სანოტარო აქტები.[42]

---

[39] European Commission for the Efficiency of Justice, Working Group on the Evaluation of Judicial Systems, Specific Study of the CEPEJ on the Legal Professions: Notaries – 2018, Notaries of Europe (CNUE), 7-10.

[40] *Chiarini A., Forte A.,* Excellence in Notary Services through ISO 9001 Certification: an Investigation from Italy, Huelva, 2016, 124-125.

[41] European Commission for the Efficiency of Justice, Working Group on the Evaluation of Judicial Systems, Specific Study of the CEPEJ on the Legal Professions: Notaries – 2018, Notaries of Europe (CNUE), 10.

[42] *Hall E. G.,* The Common Law and Civil Law Notary in the European Union: a Shared Heritage and a Influential Future, London, 2015, 15.

რუმინეთში 2014 წლიდან ამოქმედდა ელექტრონული პლატფორმა, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ტიპის სანოტარო რეესტრებს. რეესტრების მართვას უზრუნველყოფს სანოტარო რეესტრების მართვის ცენტრი. რეესტრების სისტემა აპლიკაციის ტიპისაა და შესაძლებელია მასში დოკუმენტის რეალურ დროში გენერირება, ამისთვის საჭიროა მომხმარებლის პერსონალური მონაცემების, შინაარსისა და ნოტარიუსის მითითება.[43]

ბელგიის ნოტარიატმა შეიმუშავა უძრავი ქონების საჯარო აუქციონის ელექტრონული პლატფორმა, რომელიც მომხმარებელს შესაძლებლობას ანიჭებს სახლიდან გაუსვლელად ჩაერთოს აუქციონში. ნოტარიუსი ამ სისტემის დახმარებით არკვევს აუქციონის შედეგებს და ადგენს სანოტარო აქტს, რომლის საფუძველზეც აუქციონის გამარჯვებული მოითხოვს ქონების რეგისტრაციას. ბელგიის ნოტარიატმა დანერგა მოქალაქეებზე ორიენტირებული საკომუნიკაციო სისტემა, სადაც მომხმარებლებს შეუძლიათ შეკითხვების გაგზავნა და ამ სისტემაში ჩართული ნოტარიუსები რეალურ დროში პასუხობენ მომხმარებლების შეკითხვებს და მათი თხოვნით ახორციელებენ სანოტარო მოქმედებებს.[44]

ესტონეთში, ლიეტუვასა და ლატვიაში ყველა ნოტარიუსი იყენებს ელექტრონულ საინფორმაციო სისტემას, რომელიც დაცვის მაღალი მექანიზმებით ხასიათდება და აქვს ტრანსსასაზღვრო ფუნქცია ამ სამი ქვეყნის სანოტარო ბიუროებისთვის, რადგან მასში ასახული ინფორმაციის ნაწილი აღნიშნული ქვეყნების ნოტარიუსებისთვის ღია წვდომისაა და აერთიანებს უფლების დამდგენ რეესტრებს.[45]

გერმანიის ნოტარიატმა განავითარა შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიების რეგისტრაციის ინოვაციური სისტემა, რომელიც დაინტერესებული პირების მონაცემების შეყვანის გზით, ნოტარიუსს ელექტრონული ფორმის შედგენის უფლებას რთავს. აღნიშნული მომსახურების მიღების სიხშირიდან გამომდინარე, პლატფორმას დაარქივების ფუნქცია გააჩნია და აქტიურად ახლდება მიმდინარე და დაარქივებული მოქმედებების მიხედვით.[46]

ევროკავშირის ნოტარიუსთა საბჭოს წევრ სახელმწიფოებში თანამედროვე ნოტარიატის უპირველესი მოთხოვნა სანოტარო აქტების გაციფრულებაა, შესაბამისად, სანოტარო რეესტრები მეტ-ნაკლებად, უკვე გაციფრულებულია. მაგალითად, ავსტრიაში, ბელგიაში, ხორვატიაში, ჩეხეთში, ესტონეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, უნგრეთში, ლატვიაში, ლუქსემბურგში, მალტაში, ნიდერლანდებში, პოლონეთსა და რუმინეთში მოქმედებს ანდერძისა და სამემკვიდრეო რეესტრები, რომლებიც დაკავშირებულია ევროპული გაერთიანების სამემკვიდრეო რეესტრთან, რეესტრებს შორის არსებობს ინფორმაციული კავშირი, რომელიც გაერთიანების წევრ სახელმწიფოთა ნოტარიუსებს კონკრეტულ სახელმწიფოში გაცემული სამკვიდროს შესახებ ინფორმაციას აწვდის. მეორე საკითხია, რა ფორმითაა ხელმისაწვდომი აღნიშნულ რეესტრში სანოტარო აქტი. ელექტრონულ ბაზაში რეგისტრირებულ სანოტარო აქტს, ცალკეულ შემთხვევაში

[43] *Ruggeri L., Kunda I., Winkler S. (eds.),* Family Property and Succession in EU Member States National Reports on the Collected Data, The European Commission, 2019.
[44] *Verboven F., Yontcheva B.,* Private Monopoly and Restricted Entry - Evidence from the Notary Profession, 2022, 7.
[45] *Parsova V., Gurskiene V., Kaing M.,* Real Property Cadastre in Baltic Countries, Jelgava, 2012, 158.
[46] *Rinne T.,* A Guide to Corporate Forms for Doing Business in Germany, Hamburg, 2017, 23.

უნდა დაერთოს ნოტარიუსის ხელმოწერა და ბეჭედი ან მხოლოდ ელექტრონული რეკვიზიტები (უნიკალური კოდი), ხელმოწერის გარეშე.[47]

საქართველოს ნოტარიუსთა პალატამ გერმანიის ნოტარიუსთა ფედერალურ პალატასთან ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა. მემორანდუმი საქართველოსა და გერმანიის ნოტარიუსთა პალატებს შორის ურთიერთთანამშრომლობით სანოტარო მომსახურების დახვეწასა და განვითარებას ითვალისწინებს, რაც უზრუნველყოფს სანოტარო საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში გამოცდილების გაზიარებას,[48] რათა გამოცდილების გაზიარება მხოლოდ თეორიული სწავლებით არ შემოიფარგლოს და შემოთავაზებული იქნეს მომხმარებელზე მორგებული ელექტრონული სერვისები.[49]

5. დასკვნა

ნოტარიუსებს აქტიური შემხებლობა აქვთ მონაცემთა სუბიექტებთან. ნოტარიუსის პროფესიული საქმიანობის საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ და სხვა ნორმატიული აქტები, ხოლო სანოტარო მომსახურების მიმღები პირების პერსონალური მონაცემების დამუშავება ეფუძნება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს.

მნიშვნელოვანია ჩამოყალიბდეს ელექტრონულ სანოტარო რეესტრზე წვდომის მქონე პირთა სტატუსი, შემდეგში ღია და დახურული ტიპის შიდა სისტემებზე წვდომის ფარგლებში მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის ძირითადი სტანდარტები, რაც მიემართება, როგორც გარეშე პირთა ისე რეესტრზე წვდომის მქონე პირთა სტატუსს, მოვალეობებსა და მათი მოქმედებების რეგულირებას მონაცემთა დაცვის კანონმდებლობით.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა ელექტრონული სანოტარო რეესტრის ფუნქციონირების განსაკუთრებული მნიშვნელობა და მისი დახვეწის საჭიროება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინების, მომხმარებელზე მორგებული ელექტრონული სერვისების განვითარების და ევროკავშირის ნოტარიუსთა საბჭოს წევრი ქვეყნების პრაქტიკის მაგალითზე. სასურველია, რომ სანოტარო საქმიანობის განხორციელებისას ელექტრონული სანოტარო რეესტრი, მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის შესაბამისი სტანდარტებით ითვალისწინებდეს ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღებას, რაც დაეხმარება ნოტარიუსს მოქალაქეთა მიმართვიანობის მართვასა და სანოტარო აქტის შედგენაში.

---

[47] შეად. *გაბისონია ზ.,* ციფრული მმართველობა და სამართლის ტექნოლოგიები იუსტიციის სისტემაში, ჟურნ. „იუსტიცია“, №1[4], 2023, 41.

[48] დამატებით იხ.: *ბოკი რ.,* ზოგიერთი მოსაზრება ნოტარიატის მომავალზე, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, №2, 2022, 1-2; *ბოკი რ.,* გერმანული ნოტარიატის სისტემა, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, №8, 2020, 6-8.

[49] შეად. *ვუდარსკი ა., სირდაძე ლ.,* რეესტრის ჯუნგლები 21-ე საუკუნეში, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, №6, 2020, 30-31.

ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 14/06/2023.
2. საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ“, 04/12/2009.
3. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, 31/03/2010.
4. *ასვანუა ნ.,* პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები, თბ., 2023, 39-40.
5. *ბერნსდორფი ნ.,* ევროპის კავშირის „მონაცემთა დაცვის სამართალი“, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის ჟურნალი, №2, 2023, 14-15.
6. *ბოკი რ.,* ზოგიერთი მოსაზრება ნოტარიატის მომავალზე, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, №2, 2022, 1-2.
7. *ბოკი რ.,* გერმანული ნოტარიატის სისტემა, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, №8, 2020, 6-8.
8. *გაბისონია ზ.,* ციფრული მმართველობა და სამართლის ტექნოლოგიები იუსტიციის სისტემაში, ჟურნ. „იუსტიცია“, №1[4], 2023, 41.
9. *ელიზბარაშვილი ს.,* ადამიანის უფლებების დაცვა ტექნოლოგიური განვითარების ეპოქაში: ხელოვნური ინტელექტის რეგულირების დასაწყისი, სტატიათა კრებული - ადამიანის უფლებათა დაცვა: ევროპული გამოცდილება და ეროვნული გამოწვევები, თბ., 2023, 80-81.
10. *ვუდარსკი ა., სირდაძე ლ.,* რეესტრის ჯუნგლები 21-ე საუკუნეში, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, №6, 2020, 22, 30-31.
11. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საქმიანობის 2022 წლის ანგარიში.
12. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში.
13. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის სახელმძღვანელო რეკომენდაციები საჯარო დაწესებულებებისთვის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან თავსებადობის მიზნით შიდაუწყებრივი სამართლებრივი აქტების გამოცემის/განახლების თაობაზე, 2023, 1-2, 14.
14. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის რეკომენდაცია „ინციდენტთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“, 2024.
15. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის რეკომენდაცია „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპების შესახებ“, 2024.
16. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის რეკომენდაცია „ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული უფლებებისა და პროფაილინგის შესახებ“, 2024.
17. *პეტერფალვი ა., ესტერი დ.,* როდესაც ჩვენი მანქანები გვსწავლობენ: ევროპის კავშირის მცდელობები ხელოვნური ინტელექტის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებისა და პროფილირების რეგულირებასთან დაკავშირებით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის ჟურნალი, №1, 2023, 72-74.
18. *ხარიტონაშვილი ნ.,* კონფერენცია „გერმანული და ქართული ნოტარიატის გაციფრულება“, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, №4, 2023, 88-89.
19. *ხარიტონაშვილი ნ.,* ქართული ნოტარიატის გაციფრულება, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, №6, 2023, 149.

20. *ხუბუა გ., სირდაძე ლ.,* სამართლის ტექნოლოგიები (ლიგალტექი) საქართველოში, მათი გამოყენება კერძო კომპანიებსა და საჯარო უწყებებში, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, №7, 2022, 10.
21. Convention for the Protection of Individuals with regard to Automatic Processing of Personal Data (Convention 108), 28/01/1981.
22. General Data Protection Regulation (GDPR), 27/04/2016.
23. Convention for the Protection of Individuals with regard to the Processing of Personal Data (Convention 108+), 18/06/2018.
24. *Chiarini A., Forte A.,* Excellence in Notary Services through ISO 9001 Certification: an Investigation from Italy, Huelva, 2016, 124-125.
25. European Judicial Systems Efficiency and Quality of Justice, Specific Study of the CEPEJ, Council of Europe, №26, 2018, 220.
26. European Commission for the Efficiency of Justice, Working Group on the Evaluation of Judicial Systems, Specific Study of the CEPEJ on the Legal Professions: Notaries – 2018, Notaries of Europe (CNUE), 7-10.
27. European Commission for the Efficiency of Justice, Study on the Functioning of Judicial Systems in the EU Member States, Specific Study on the Facts and Figures from the CEPEJ Questionnaires 2012 to 2020, Strasbourg, 2022, 899-900.
28. *Hall E. G.,* The Common Law and Civil Law Notary in the European Union: a Shared Heritage and a Influential Future, London, 2015, 15.
29. Information Commissioner's Office (ICO), Guide to the General Data Protection Regulation (GDPR), 2018.
30. *Kuner C., Bygrave L. A., Docksey C.,* The EU General Data Protection Regulation (GDPR) – a Commentary, Oxford University Press, Oxford, 2020, 25-27.
31. *Rinne T.,* A Guide to Corporate Forms for Doing Business in Germany, Hamburg, 2017, 23.
32. *Ruggeri L., Kunda I., Winkler S. (eds.),* Family Property and Succession in EU Member States National Reports on the Collected Data, The European Commission, 2019.
33. *Verboven F., Yontcheva B.,* Private Monopoly and Restricted Entry - Evidence from the Notary Profession, 2022, 7.
34. Case of the Data Protection Authority (Italy) №9993548, 11/01/2024.
35. Case of the Data Protection Authority (Belgium) №52, 03/04/2024.
36. Case of the Data Protection Authority (Poland) №DKN.5131.31.2021, 07.02.2023.
37. Case of the Data Protection Authority (Belgium) №48, 08/04/2021.
38. Case of the Data Protection Authority (Spain) №PS/00044, 23/10/2020.